ევროპის დროით

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

აგვისტო 2011 N8 (30)

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკების დასაწყებად

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მომავალი მოლაპარაკებისათვის მომზადების პროცესის შესაბამისად, 2009 წლის მარტში ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას გაუგზავნა რეკომენდაციები საქართველოში სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ. ევროკომისიის მიერ პრიორიტეტულად დასახელდა შემდეგი 4 სფერო: ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების საკითხი, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია. ამ დროისათვის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ ევროკომისიის რეკომენდაციები შესრულებულია ოთხივე ზემოხსენებულ პრიორიტეტულ სფეროში.

სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებისათვის:

- ★ ევროკომისიის ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 28 დეკემბერს დაამტკიცა ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოვების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში.
- ★ ამოქმედდა „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის ყველა შეზერებული მუხლი.
- ★ 2010 წლის თებერვლიდან დაიწყო სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოთა რეგისტრაცია.
- ★ სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2010 წლის 1 ივლისიდან დაიწყო ევროკავშირში ექსპორტიორ სურსათის მწარმოებელი საწარმოების, ხოლო 2011 წლის 1 იანვრიდან ყველა სხვა სახის სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს ინსპექტირება.
- ★ ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის დაახლოებისათვის მთავრობის დადგენილებებით დამტკიცდა: სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/ დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესი; სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი; სურსათის/ ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესი; სურსათისა და ცხოველთა საკვების უვნებლობის სფეროში კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმა;
- ★ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, 2011 წლის ივნისში დამტკიცდა სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური რეფორმის გეგმა.

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებისათვის:

- ★ 2010 წლის 16 ივლისს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის სტრატეგია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში;
- ★ 2010 წლის 25 აგვისტოს დამტკიცდა სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამა .
- ★ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კოდექსის პროექტი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფლად მიმოქცევის შესახებ.
- ★ ევროკომისიის შესაბამის რეგულაციებთან მიახლოების მიზნით შემუშავდა ლიფტებსა და საბაგირო გზებზე ტექნიკური რეგლამენტების პროექტები.
- ★ ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით შეიქმნა ბაზრის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია.
- ★ შემუშავდა და დამტკიცდა ინსტიტუციური რეფორმის გეგმა საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა და აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის.

კონკურენციის სფეროში ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად:

- ★ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია.
- ★ 2010 წლის მაისში შეიქმნა სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო.
- ★ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კანონის პროექტი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად:

- ★ UNDP–ის ხელშეწყობით 2010 წლის ივნისში განხორციელდა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფისა და პირატულ მდგომარეობის კვლევა.
- ★ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2010 წლის 4 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „დიზაინის შესახებ“ .
- ★ გამოგონების პატენტის მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით 2010 წლის 4 მაისს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა „საქართველოს საპატენტო კანონში“.
- ★ გათანაბრდა ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული ტარიფები საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკების დასრულებისათვის იყო გათვალისწინებული.

ამგვარად, საქართველოს მთავრობამ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყებისათვის ევროკომისიის ყველა აუცილებელი რეკომენდაცია შეასრულა.

ავტორი: ნათია სამუშია

მრჩეველი საქართველოს პრემიერ–მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი საერთაშორისო

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
ტელ.: (995 32) 2 28 17 08; (995 32) 2 28 13 92
ელ-ფოსტა: europa@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 2 28 13 29
ელ-ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

ევროპის დროით

აგვისტოს დაიჯესტი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ანდჟეი ტიშკევიჩს შეხვდა

2011 წლის 17 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მიიღო საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახლადდანიშნული ხელმძღვანელი ანდჟეი ტიშკევიჩი.
მხარეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ურთიერთობების აქტუალური საკითხები და თანამშრომლობის პერსპექტივები.

გერმანელები და ფრანგები ევროკრიზისის შესახებ

წყარო: Reuters

11 აგვისტოს გამოკითხვის თანახმად, ევროკრიზისის გამო გერმანიის მოსახლეობის ნდობა გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის, მიმართ მხოლოდ 22% შეადგენს, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მიმართ ეს მონაცემი კიდევ უფრო ნაკლებია - 15%. გერმანელების 63%-ს მიაჩნია, რომ მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი სათანადოდ ვერ უმკლავდება ეკონომიკურ კრიზისს. საფრანგეთში გამოკითხულთა უმრავლესობამ (46%) გერმანიის კანცლერის მიმართ უფრო მეტი ნდობა გამოხატა, ვიდრე საკუთარი პრეზიდენტისადმი (33%). ეს შედეგი ფრანგული ბანკების აქციების სწრაფმა ვარდნამ განაპირობა. ამ მონაცემის მიუხედავად, ექსპერტებს მიაჩნიათ: დღეს რომ გერმანიაში კანცლერის არჩევნები ჩატარდეს, ანგელა მერკელი თავის ორ მთავარ კონკურენტთან დამარცხდებოდა.

ევროკომისია თანხმაა, ესპანეთმა დროებით შეზღუდოს რუმინელი მუშახელის თავისუფალი გადაადგილება

ევროკომისიამ დაადასტურა ესპანეთის ხელისუფლების თხოვნა 2012 წლის 31 დეკემბრამდე ესპანურ შრომის ბაზარზე რუმინელი მუშახელის რიცხვის შეზუდვის შესახებ. ეს თხოვნა განაპირობა ესპანეთში მთლიანი შიდა პროდუქტის 3,9%-ით დაცემამ და ქვეყანაში ევროპაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონემ (20%).
აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება უკვე მომუშავე რუმინელებზე. ბოლო კვლევებმა ცხადყო, რომ ესპანეთში მცხოვრებ რუმინელთა 30% უმუშევარია. მიუხედავად იმისა, რომ რუმინელი მიგრანტების რიცხვმა ბოლო წლების ეკონომიკური რეცესიის გამო იკლო, მათი შემოდინების დონე მაინც მაღალი რჩება.
მას შემდეგ, რაც ესპანეთმა საკუთარი შრომის ბაზარი ევროკავშირის ყველა მოქალაქისთვის გახსნა, ყოველგვარი რაოდენობრივი შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ დროებითი იყოს. ევროკომისია, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების უფლება, გააგრძელებს ესპანეთში არსებული რთული ვითარების მონიტორინგს. მუშახელის თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირის ერთ–ერთი მთავარი პრინციპია, რომელიც ერთობ დადებით გავლენას ახდენს ევროპულ ეკონომიკაზე.

ბანკირები და ეკონომისტები: ევროობლიგაციების გამოშვება გარდაუვლია

წყარო: www. topnews.net.nz

ეკონომისტებისა და ინვესტორების აზრით, ევროპის ლიდერებს შესაძლოა მალე ბაზარზე ზეწოლა მოუწიოთ და გაისად ევროზონის ობლიგაციების გაცემა კრიზისის დაძლევის საუკეთესო და შესაძლოა ერთადერთი გზა აღმოჩნდეს. მაგრამ გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერების აზრით, ობლიგაციები ერთობ რთული და შორეული გეგმაა და მათ ნაცვლად ყურადღება შემდგომ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე უნდა გამახვილდეს. მრავალი ექსპერტი ევროობლიგაციების გაცემის პირველ თარიღად 2012 ან 2013 წელს მოიაზრებს. „ერთობლივი ობლიგაციებით ან წარმატებისკენ ავიღებთ გეზს ან ყველაფერი კრახით დასრულდება“, ამბობს რასელ სილბერსტონი, Investec Asset Management საპროცენტო განაკვეთების ხელმძღვანელი.

დიდი ბრიტანეთი მოუწოდებს თურქეთს, გააუმჯობესოს საზღვრების უსაფრთხოება

დიდი ბრიტანეთის საშინაო საქმეთა კომიტეტის მიერ შემუშავებული მოხსენების თანახმად, ევროკავშირში გაწევრიანებამდე თურქეთმა უნდა გააუმჯობესოს საზღვრის უსაფრთხოების საკითხი. ამავე მოხსენებაში აღნიშნულია ერაყიდან, ირანიდან და სირიიდან წამოსული არალეგალური მიგრანტების პრობლემის მოგვარებისა და თურქული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელების წინააღმდეგ პრევენციული ზომების გამკაცრების აუცილებლობა. მოხსენების მკაცრი ტონის მიუხედავად, მრავალ ექსპერტს მიაჩნია, რომ ევროკავშირისა და თურქეთის თანამშრომლობა იმდენად აუცილებელია, რომ არ შეუქმნის პრობლემას თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში.
თურქეთმა ოფიციალური მოლაპარაკება ევროკავშირში ინტეგრაციის თაობაზე 2005 წელს დაიწყო, მაგრამ არასაკმარისი პროგრესი თურქული მხარის უკმაყოფილებას იწვევს. მოხსენებაში განხილულია თურქეთის გაწევრიანებით გამოწვეული არაერთი საკითხი, მათ შორის - ევროპაში ნარკოტიკული ნივთიერებების რაოდენობის, არალეგალური მიგრაციისა და დანაშაულის რიცხვის ზრდის პოტენციური საფრთხე და სხვ.
მიუხედავად იმისა, რომ გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების პროცესს არ აჩქარებენ, დიდი ბრიტანეთის მხარე თურქეთის ინტეგრაციის აშკარა მომხრეა.

ევროკომისია “პრობლემურ ქვეყნებს“ შეღავათებს ანიჭებს

წყარო: www.euroactiv.com

ევროკომისიის გადაწყვეტილების თანახმად, შემცირდება თანადაფინანსების პროცენტი ევროკავშირის მიერ “პრობლემური ქვეყნების“ დახმარების პროექტებში. საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია, რუმინეთი, ლატვია და უნგრეთი –ის ქვეყნებია, რომლებმაც ბოლო წლებში არაერთხელ ისარგებლეს ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ახალი ინიციატივის მიხედვით, ამ ექვს ქვეყანას უფლება ექნება, წინა წლებთან შედარებით ნაკლები რესურსი გაიღოს (15%) ამ პროექტების თანადაფინანსებაში. რეგიონული პოლიტიკის კომისარის, იოჰანეს ჰანის, განცხადებით, ევროკავშირის წილი ამ პროექტებში დაახლოებით 95%-მდე გაიზრდება, ხოლო თანადაფინანსების მინიმალური პროცენტი ამ ქვეყნებმა საკუთარი ბიუჯეტიდან უნდა უზრუნველყონ. ეს გეგმა შეადარეს “მარშალის გეგმას“, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად დასუსტებული ევროპა უნდა განვითარებინა. აღსანიშნავია, რომ “პრობლემური ქვეყნების“ სიაში არ არის შეტანილი ევროკავშირის ყველაზე ღარიბი ქვეყანა - ბულგარეთი. ამასთან დაკავშირებით, ჰანმა განაცხადა: „ერთობ კარგი ნიშანია“ ის ფაქტი, რომ ბულგარეთმა თავიდან აიცილა ევროკავშირის მხრიდან დახმარების გამოყოფის საჭიროება.

გამოყენებული წყაროები:
http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm
www.euractiv.com; www.euobserver.com; mfa.gov.ge

საინტერესოა:

ევროკავშირი მიესალმება ცვლილებებს ლიბიაში



წყარო: European Council Press center

ჩრდილოეთ ატლანტიკურმა ალიანსმა მსოფლიო საზოგადოებას მუამარ კადაფის რეჟიმის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისკენ მოუწოდა. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, კეტრინ ეშტონის, განცხადებით, შემდეგი პერიოდი ლიბიელი ხალხისათვის მთავარი გამოწვევა იქნება.
კადაფის რეჟიმის ტრანსფორმაციის შემდეგ, მწვავედ დადგა სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერის საჭიროების საკითხი. ევროკავშირი ხელს შეუწყობს ლიბიაში არაბულ ლიგასთან, აფრიკული კავშირსა და გაეროსთან თანამშრომლობით ლიბიაში დემოკრატიული ინსტიტუტების წარმოქმნას. ევროკავშირის ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, ჰერმან ვან რუმპიის თქმით, „ჩვენ უნდა დავეხმაროთ ისტორიას, ხოლო უპირველეს ყოვლისა - ლიბიელ ხალხს“.

სრული ტექსტის ნახვა შეგიძლიათ ვებ–გვერდზე: http://www.euractiv.com/en/global-europe/eu-ready-support-libya-transition-news-507070

ევროსტატისტიკა

მიგრანტთა ინტეგრაცია ევროკავშირში

ლეგალური მიგრაცია და მიგრანტების ინტეგრაცია ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ საკითხის შესწავლას მიეძღვნა ევროკავშირის სტატისტიკური ოფისის ახალი გამოკითხვა, რომელიც მკვიდრ მოსახლეობასა და მიგრანტებს შორის ჩატარდა.
შედეგებიდან ირკვევა, რომ მკვიდრ მოსახლეობაში მიგრანტების მიმართ თანაბრად შეინიშნება როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური განწყობა. ორივე მხარე აღნიშნავდა, რომ მიგრანტებისადმი ნეგატიური სტერეოტიპის ჩამოყალიბებაში საგულისხმო როლს მედია თამაშობს.
მიგრანტებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის ურთიერთობა ძირითადად სამუშაო ადგილებსა და სასწავლო დაწესებულებებში მყარდება. მკვიდრი მოსახლეობის აზრით, მათი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია მიგრანტთა ინტეგრაცია საზოგადოებაში.
ამ პროცესის ხელისშემშლელ ძირითად ფაქტორად ენის არცოდნა და დაახლოების სურვილის ნაკლებობა დასახელდა. თავად მიგრანტების შეხედულებით, ინტეგრაცია მათთვის სასურველი და ახალი პერსპექტივების მომცემი იქნება. მაგრამ ამ პროცესს ხელს უშლის კულტურული და რელიგიური სხვაობა, სტერეოტიპული შეხედულებები, მათ მიმართ არაკეთილგანწობილი დამოკიდებულება და ურთიერთგაგების სიმცირე, რაც საბოლოოდ გაუცხოებასა და განცალკევებულ სოციალიზაციას იწვევს.
მკვიდრ მოსახლეობაში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ მიგრანტები უკეთესი ეკონომიკური პირობების საძიებლად მოდიან და ხშირად სამუშაო ბაზარზე კონკურენციას უქმნიან. ყოველივე ეს საზოგადოებაში მათ მიმართ ნეგატიურ განწყობას ზრდის.
არაერთგვაროვანია მკვიდრი მოსახლეობის აზრი მიგრანტების როლზე ქვეყნის ეკონომიკაში. კერძოდ, ნაწილი თვლის, რომ ქვეყანაში ერთობ დიდია უმუშევრობა და მათთვისაც კი არაა საკმარისი სამუშაო ადგილი, ხოლო მიგრანტების დიდი რიცხვი ამ მხრივ კონკურენციას ქმნის. მეორე ნაწილის აზრით, მიგრანტების ჩამოსვლა აუცილებელია ქვეყნისთვის, რადგან ადგილობრივთათვის ნაკლებად მიმზიდველ სამუშაოებზე მუშაობენ. ამ აზრს იზიარებენ მიგრანტებიც, რომლებიც ძირითადად დაკავებული არიან დაბალანაზღაურებად ან ცუდი პირობების მქონე სამუშაოებზე, (მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, დასუფთავება, მოხუცებზე ზრუნვა და სხვა). მოსახლეობის აზრით, მიგრანტების წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხოლოდ გადასახადებით განისაზღვრება. თავად მიგრანტებს მიაჩნიათ, რომ მათი როლი გაცილებით დიდია და გადასახადების გარდა, ისინი ამავე ქვეყანაში ხარჯავენ მიღებულ შემოსავალს, მუშაობენ არაპრესტიჟულ სამუშაოებზე, წვლილი შეაქვთ კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებაში და სხვ.

ევრობიბლიოთეკა

ევროპის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

Richard Corbett, Francis Jacobs and Michael Shackleton
The European Parliament, 8th edition
გამომცემელი: John Harper Publishing
ენა: ინგლისური

The 2011 Eurofunding Comprehensive Guide
გამომცემელი: Welcomeurope
ენა: ინგლისური

Edited by Alan Hardacre, European Institute of Public Administration
How the EU Institutions Work and... How to Work with the EU Institutions
გამომცემელი: John Harper Publishing
ენა: ინგლისური

Editied by M.Pallemaerts
The Aarhus Convention at Ten - Interactions and Tensions between Conventional International Law and EU Environmental Law
გამომცემელი: Europa Law Publishing
ენა: ინგლისური

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლია იხილოთ ვებ-გვერდზე : www.eubookshop.com

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში დაწყებულ რუბრიკას – განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიების შესახებ.

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საშემოდგომო სესიები

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სარეესტრო ცენტრი აცხადებს მიღებას 2011 წლის საშემოდგომო სესიებისათვის. პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელია ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა. პროგრამა ითვალისწინებს კანდიდატების სრულად დაფინანსებას.
სესიების სია:

- ★ სოციოლოგია და ანთროპოლოგია (2011 წლის 5-12 ნოემბერი);
- ★ სქესი, სოციოლოგია და პოლიტიკური მეცნიერებები (2011 წლის 7-11 ნოემბერი).

განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 12 სექტემბერი.

- ★ სამართალი (2011 წლის 14-18 ნოემბერი);
- ★ რელიგია (2011 წლის 21-25 ნოემბერი);

განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 19 სექტემბერი.

- ★ ფილოსოფია (2011 წლის 28 ნოემბრიდან -2 დეკემბრის ჩათვლით).

განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 19 სექტემბერი.

დიდი ბრიტანეთის ალბიონის კოლეჯის სტიპენდიები საერთაშორისო სტუდენტებისთვის

დიდი ბრიტანეთის ალბიონის კოლეჯი აცხადებს კონკურსს წარჩინებული საერთაშორისო სტუდენტებისთვის 2012 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვადასხვა დარგებში სასწავლო კურსების გასავლელად გამოყოფილი სრული ან ნაწილობრივი სტიპენდიების მოსაპოვებლად.
სტიპენდიის მიღების მსურველმა კანდიდატებმა შევსებულ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად ელექტრონულად უნდა გაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ★ განცხადება კანდიდატის არსებული ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური დახმარების საჭიროების შესახებ შესაბამის თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად;
- ★ პერსონალური სამოტივაციო წერილი ან ესე (არანაკლებ ერთი გვერდისა);
- ★ განაცხადის შეტანის მომენტისათვის არსებული აკადემიური მოსწრების სრულყოფილად ამსახველი დოკუმენტაცია ყველა გავლილი სასწავლო კურსისა და თითოეულ მათგანში მიღებული შეფასებებითურთ (ოფიციალური თარგმანი ინგლისურ ენაზე);
- ★ სტუდენტის ცოდნისა და ზოგადი უნარ - ჩვევების შესამოწმებელ ე.წ. ACT და SAT ტესტებში მიღებული შეფასებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ACT ტესტი – მინიმუმ 21 ქულა, SAT ტესტი – მინიმუმ 970 ქულა;
- ★ ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი ერთ - ერთი დოკუმენტაცია: TOEFL – ინტერნეტ –ტესტი მინიმუმ 79 ქულა ან ხელნაწერი ტესტი მინიმუმ 550 ქულა; IELTS -შეფასება – მინიმუმ 6.5 ქულა; დამწყებთათვის გათვალისწინებული (ELS) პროგრამის გავლის შედეგად დაგროვილი მინიმუმ 112 ქულა;
- ★ სარეკომენდაციო წერილები მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და ინგლისური ენის პედაგოგისაგან;
- ★ განაცხადის წარდგენის საფასურის (40 აშშ დოლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

განაცხადების ელექტრონულად გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 ოქტომბერი.

DAAD-ს სტიპენდიები საქართველოსთვის

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური - DAAD აფინანსებს სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებსა და მეცნიერებს.

- ★ საბაკალავრო სტიპენდიები გერმანული სკოლის მე-12 კლასელებისთვის (ხანგრძლივობა 1-5 წელი);
- ★ საზაფხულო კურსები გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში (ხანგრძლივობა 3-4¾ კვირა);
- ★ სემესტრული სტიპენდიები გერმანისტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის (ხანგრძლივობა 5 თვე);
- ★ სტიპენდია დამამთავრებელ კურსზე მყოფი გერმანისტებისთვის (ხანგრძლივობა 1-3¾ თვე);
- ★ პრაქტიკა საბუნებისმეტყველო და საინჟინრო, ასევე სოფლის მეურნეობის სფეროსთვის;
- ★ სტიპენდია სტუდენტური ჯგუფებისათვის (ხანგრძლივობა 7-10 დღე);
- ★ სასწავლო სტიპენდია ყველა სპეციალობის კურსდამთავრებულისთვის (ხანგრძლივობა 1-2 წელი);
- ★ ERP - სამაგისტრო კურსი ეკონომისტებისთვის (1-2 წელი);
- ★ კვლევითი სტიპენდიები დოქტორანტებისა და ახალგაზრდა კვალიფიცირებული მეცნიერებისათვის (ხანგრძლივობა 1-10 თვე, სადოქტორი სტიპენდია - 3 წელი);
- ★ სტიპენდია ხელოვანთათვის (ხანგრძლივობა 10 თვე);
- ★ კვლევითი სტაჟირება უნივერსიტეტის პედაგოგებისა და მეცნიერებისთვის (ხანგრძლივობა 3 თვე);
- ★ განმეორებითი სტიპენდია ყოფილი სტიპენდიატებისათვის (ხანგრძლივობა 3 თვე);

წყარო: www.eea-esem-budapest2007.hu

DAAD-ს სტიპენდიების კონკურსისთვის საბუთების შემოტანის ბოლო ვადა იქნება 31 ოქტომბერი.

2011 წლის სექტემბრამდე პროგრამაში შესაძლოა შევიდეს უმნიშვნელო ცვლილებები.

კონსულტაციები სტიპენდიებისა და ზოგადად გერმანიაში სწავლის შესახებ იმართება DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრში: ორშაბათი - პარასკევი, 14 საათიდან 18 საათამდე.
განაცხადების ელექტრონულად გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 სექტემბერი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 32, 219–220, ტელ.: (832) 229 47 11

euinfocentre@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი საქართველოს პარლამენტში

FM 102.4 "ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად."

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას **ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად** საქართველოს რადიოს პირველი არხი

Konrad Adenauer Stiftung

კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის დაფინანსებით **"ევროპის დროით"** იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

ნომერზე მუშაობდნენ:
ირინე ცერცვაძე, თეა ტარიელაშვილი, მარიკა კაჭარავა , თამარ ჭელიძე

"ევროპის დროით"
ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ www.parliament.ge/ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი